ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2357675

ნომერი: AR1362641

თარიღი : 08.12.2015

გაცემის თარიღი : 23.12.2015

გაცნობის თარიღი : 23.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 42 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რომანოზი რეხვიაშვილი პ/ნ 01009010054
- თბილისი,ვაჟა ფშაველას გამზ. მე-7 კვ კორპ.15 ბ.ამზ

ორგანიზაცია:
- სს "მაცნე" კოდი: 211358895

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის ფასადზე არსებული ჩარჩოს ტიპის კონსტრუქციული ელემენტის გაბარიტული ზომების უცვლელად სარეკლამო აბრის მოწყობის, მასალის და ფერის ცვლილებით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გამზირი გამსახურდია , N 42 –ში თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 005/006) შენობის ფასადზე შპს „მაცნე-კაპიტალი“–ს ფასადზე არსებული ჩარჩოს ტიპის კონსტრუქციული ელემენტის გაბარიტული ზომების უცვლელად, სარეკლამო აბრის მოწყობის, მასალის და ფერის ცვლილებით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ.რომანოზი რეხვიაშვილის განცხადება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015605774 საკადასტრო კოდი N 01.10.14.005.006.01.501, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებსეხება ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გამზირი გამსახურდია , N 42 –ში თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 005/006) შენობის ფასადზე შპს „მაცნე-კაპიტალი“–ს ფასადზე არსებული ჩარჩოს ტიპის კონსტრუქციული ელემენტის გაბარიტული ზომების უცვლელად, სარეკლამო აბრის მოწყობის, მასალის და ფერის ცვლილებით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

ასევე გაცნობებთ:

–სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.